№837 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 დეკემბრის №1965 განკარგულების საფუძველზე შესასრულებელი საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ117-კმ119 (კვარიათი-სარფის) მონაკვეთის (ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ) აღდგენა-გამაგრების, ქვის ცვენისაგან დაცვისა და ფერდობების გამაგრების სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის (შემდგომში - სამინისტრო) 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემულმა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ (შემდგომში - კომპანია), საკუთარი სახსრებით, უზრუნველყო ზემოაღნიშნულ

სამუშაოებთან დაკავშირებული სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა, ასევე, საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურებების ნაწილობრივი შესყიდვა.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, კომპანიამ, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დარჩენილი საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მიერ სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი, რომ 2013 წლის დეკემბრის თვეში, შავიზღვისპირეთში შექმნილი რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, ჩაირეცხა საბაჟო გამშვები პუნქტის, „სარფის“ სანაპირო ზოლი და მნიშვნელოვნად დაზიანდა ადმინისტრაციული შენობა, რის გამოც მიზანშეწონილია, შენობის პერიმეტრზე ნაპირდამცავი ჯებირის მოწყობა.

4. საბაჟო გამშვები პუნქტის, „სარფის“ შენობა-ნაგებობების შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის, შენობის გასწვრივ შტორმით გამოწვეული ზღვის ტალღების ზემოქმედებისა და განმეორებითი მატერიალური ზარალის თავიდან აცილების მიზნით, კომპანიამ უზრუნველყოს საბაჟო გამშვები პუნქტის, „სარფის“ პერიმეტრზე ნაპირდამცავი ჯებირის მოწყობის სამუშაოების და მათთან დაკავშირებული მომსახურებების განხორციელება, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის ფარგლებში.

5. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და

საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, კომპანიამ ამ განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების და სამუშოებთან დაკავშირებული საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

6. ამ განკარგულების მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №644 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

7. კომპანიამ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №644 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში.

8. სამინისტრომ, კომპანიის მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს წინადადებები, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 დეკემბრის №1965 განკარგულების საფუძველზე შესასრულებელი, საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ117-კმ119 (კვარიათი-სარფის) მონაკვეთის (ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ) აღდგენა-გამაგრების, ქვის ცვენისაგან

დაცვისა და ფერდობების გამაგრების სამუშაოების სრულ დაფინანსებასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**